ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სხდომის

ოქმი N 2

15 დეკემბერი, 2021 წელი

12:00 სთ

ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი #2

კომისიის სხდომას უძღვებოდა სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე ნინო ვარდოსანიძე.

სხდომას ესწრებოდნენ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის წევრები:

მარიამ ზაქარიაშვილი

კახაბერ ლაბუჩიძე

შალვა ოგბაიძე

ირაკლი ნადირაძე

შოთა გრიგოლია

სხდომა გახსნა სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარემ, ნინო ვარდოსანიძემ.

სხდომის დღის წესრიგი:

მიმდინარე საკითხების განხილვა.

კომისიის თავმჯდომარე მიესალმა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს VII მოწვევის ახალარჩეულ კომისიის წევრებს.

სხდომის თავმჯდომარემ იმედი გამოთქვა, რომ მომავალი ოთხი წლის განმავლობაში კომისიის ფარგლებში ნაყოფიერი და წარმატებული თანამშრომლობა შედგება. მან აღნიშნა, რომ ეს არის კომისიის პირველი გაცნობითი ხასიათის სხდომა განახლებული შემადგენლობით.

ნინო ვარდოსანიძემ მოკლედ გააცნო კომისიის წევრებს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის საქმიანობის მიმართულებები და გეოგრაფიული ობიექტების სახელდების პროცედურები. მისი ინფორმაციით, გარდა მოქალაქეებისა და სხვადასხვა უწყებების ინიციატივებისა, კომისია თავად იქნება მნიშვნელოვანი იდეების და პროექტების ინიციატორი. მან ასევე ისაუბრა კომისიის თანამშრომლობის შესახებ პარტნიორ ქვეყნებთან და ქალაქებთან ნაცვალგების პრინციპით სახელდების პროცესში.

„რაც შეეხება დღევანდელ სხდომას, მიმდინარე საკითხების ინიცირებაზე VI მოწვევის საკრებულოს პირობებში მიღებულია გადაწყვეტილებები, მაგრამ ინიცირდება ახალი მოწვევის კომისიის თავმჯდომარის ხელმოწერით.

თუ მიმდინარე საკითხებზე იქნება შენიშვნები, საჯარო განხილვის ეტაპზე შესაძლებელია ღია მსჯელობა, ვინაიდან საკითხების საჯარო განხილვა ტარდება კომისიის წევრების, მოქალაქეებისა და სხვა დაინტერესებული პირების მონაწილეობით. იქ დინამიურად შესაძლებელია ნებისმიერ საკითხზე შეთანხმება, როგორც კომისიაში ისე მოქალაქეებთანაც.“

ნინო ვარდოსანიძის ინფორმაციით, სამომავლოდ კომისია განიხილავს გურამ დოჩანაშვილის, რეზო გაბრიაძის და დედაქალაქისთვის სხვა რამდენიმე მნიშვნელოვან სახელდებას.

კომისიის წევრებმა ასევე ისაუბრეს სახელმწიფო სტრუქტურებთან სამომავალო თანამშრომლობის შესახებ.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სახელდებისა და სიმბოლიკის

კომისიის თავმჯდომარე

ნინო ვარდოსანიძე